
თავი - 21

გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა

შინაარხი

- ❖ ინკუსტიციის ხარჯთაღრიცხვის შედგენა;
- ❖ წმინდა მიმდინარე ღირებულება;
- ❖ დაბრუნება ინკუსტიციაზე;
- ❖ საინკუსტიციო პროცესტის ანალიზი;
- ❖ ანალიზის სხვა მეთოდები.

21 . 1 . ინვესტიციის ხარჯთაღრიცხვის შედგენა

მოცემულ თავში განვიხილავთ გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებულ სხვადასხვა ტექნიკასა და მოსაზრებებს. ძალზედ მნიშვნელოვანია ასეთი ანალიზური დახვეწილობის დაუფლება, ვინაიდან კაპიტალდაბანდებათა ხარჯთაღრიცხვის შედგენის გადაწყვეტილება განსაზღვრავს ორგანიზაციის მომავალი საქმიანობის შესაბამის მოდელს.

პრობლემის არსი

გრძელვადიანი აქტივების შეძენისას, ან ინვესტიციის გახორცილებისას ორგანიზაციის ქმედება, სესხის გაცემის დროს ბანკის ქმედების ანალოგიურია. ორივე ოპერაციისთვის დამახასიათებელია ის, რომ ფულადი სახსრების დაბანდება ხდება დღეს, იმ მიზნით, რომ ანაზღაურდეს და გარკვეული დამატებითი თანხა მივიღოთ მომავალში.

სესხის გაცემის დროს ინვესტიციის დაბრუნება ითვალისწინებს ვალის ძირითადი თანხის ანაზღაურებასაც, ხოლო ინვესტიციაზე უკუგება – სესხის სარგებლობის პერიოდში საპროცენტო გადასახდელების ნაკადებს. თუ შეძენილია გრძელვადიანი აქტივები, მაშინ ინვესტიციის უკუგება და ინვესტიციაზე დაბრუნება წარმოგვიდგება შეძენილი აქტივების ექსპლოატაციის შედეგად მიღებული ფულადი **შეძოსულობის** სახით. თუ კაპიტალდაბანდებების შედეგების გამოყენებისას შემოსული ფულადი ნაკადები აჭარბებს ინვესტიციის თავდაპირველი დაბანდების ფულად საშუალებებს, ეს მოწმობს, რომ კაპიტალდაბანდებისთვის მიმართული საშუალებები ანაზღაურებულია (ინვესტიციის დაბრუნება) და, რომ მიღებულია გარკვეული მოგება (ინვესტიციაზე უკუგება).

ამგვარად **ინვესტიციები წარმოადგენენ მომავალში მოსალოდნელი ფულადი შეძოსულობების ნაკადების შესყიდვას.**

როცა ორგანიზაცია იღებს გადაწყვეტილებას, შეიძინოს თუ არა ახალი გრძელვადიანი აქტივები, საკვანძოდ გვევლინება საკითხი – იქნება კი მომავალი ფულადი შემოსულობის ნაკადი იმდენად დიდი, რომ ეს ინვესტიციები გაამართლოს. ამ თავში განხილულ ყველა პრობლემას ერთი საერთო ფორმა აქვთ: არსებული მომენტისთვის ხდება გარკვეული ოდენობის სახსრების შეთავაზება იმ პირობით, რომ მომავალში, კაპიტალდაბანდების შედეგი – შემდგომ წლებში შემოსული ფულადი ნაკადი იქნება. არის თუ არა მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადი საკმაო სიდიდის იმისათვის, რომ გაამართლოს შემოთავაზებული პროექტით სახსრების ინვესტირება? განვიხილოთ ამ დამახასიათებელი პრობლემებიდან რამდენიმე.

შევცვალოთ კი, ამგადად გამოყენებული მოწყობილობები უფრო ეფექტურით?

მოლოდინი მოცემული ინვესტიციებიდან: მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადის მიღება შესაძლებელია ძველი დანადგარის ექსპლოატაციის დანახარჯების შემცირებით, გაზრდილი პროდუქციის რეალიზაციდან მოგების გაზრდით, ან ერთდროულად ორივე საშუალების ხარჯზე.

საჭიროა თუ არა ახალი საწარმოო შენობის აშენება ან შეძენა?

მოლოდინი მოცემული ინვესტიციიდან: მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოსულობა წარმოადგენს ამ ახალ საწარმოო შენობაში წარმოებული და რეალიზებული საქონლის ან მომსახურების შედეგად მიღებულ მოგებას.

საჭიროა თუ არა მოწყობილობების შეძენა იმ ოპერაციებისათვის, რომლებიც ახლა ხელით სრულდება, ე.ი. აქვს თუ არა აზრი ფულის დაბანდებას, რომ ფულისავე ეკონომია გაპეთდეს?

მოლოდინი მოცემული ინვესტიციიდან: მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადი წარმოგვიდგება დანაზოგის ფორმით, შედარებით დაბალი საექსპლოატაციო დანახარჯებიდან გამომდინარე.

სერთო მიღვოძა. ამ პრობლემების განხილვისას იკვეთება ორი სხვადასხვა ტიპის სიდიდის ფულადი სახსრები. პირველი: თანხა, რომელიც პროექტის გახორციელების დასაწყისშივე სრული მოცულობით იდება ინვესტიაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახსრების დაბანდება არაზუსტად დღეს, არამედ დროის გარკვეულ მომენტში ხდება, ანალიზური მიზნებისათვის მას “დღევანდელ დღეს” ან დროის ნულოვან მომენტს უწოდებენ. მეორე: თანხა რომელიც შემოვა მომავალში, რამდენიმე წლის განმავლობაში, როგორც ამ ინვესტიციის შედეგი.

ფულადი სახსრების ეს ორი სახის სიდიდე არ შეიძლება ერთმანეთს უშუალოდ შეგადაროთ, იმიტომ, რომ ისინი დროის სხვადასხვა მომენტში წარმოიქმნება. კორექტული შედარებისთვის აუცილებელია ეს ორი თანხა, ერთი და იგივე დროისთვის გათვლილ ექვივალენტურ სიდიდებამდე დავიყვანოთ. ასეთ, შედარების ხელსაყრელ მომენტად, დროის ნულოვანი მომენტი წარმოგვიდგება. ინვესტირებული თანხის კორექტირება არ ხდება, ვინაიდან იგი უკვე გამოხატულია დროის ნულოვანი მომენტის ღირებულებით. ჩვენთვის აუცილებელია მხოლოდ მომავალი ფულადი შემოსულობის ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დაყვანა, რომ შევძლოთ მათი კაპიტალდაბანდების სიდიდესთან შედარება.

9 . 2 . წმინდა მიმდინარე ღირებულება.

წმინდა დისკონტირებული ღირებულება (**NPV**) წარმოადგენს ეფექტიანობის საზომს, რომელსაც საფუძვლად უდევს დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის (**DCF**) ანალიზი. **DCF** ანალიზი მენეჯერული აღრიცხვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ანალიტიკური ტექნიკა და იგი ფართოდ გამოიყენება აღრიცხვის, დაფინანსებისა და ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში.

იმისათვის, რომ გამოვთვალოთ კაპიტალდაბანდების წმინდა მიმდინარე ღირებულება, ყოველწლიური ფულადი შემოსავალი უნდა გავამრავლოთ ამ წლის მოგების ნორმის შესაბამისობით გამოთვლილ 1 ლარის მიმდინარე ღირებულებაზე, რომელსაც ფულადი შემოსულობების **დისკონტირებას** უწოდებთ. განაკვეთს, რომლითაც ფულადი შემოსულობების დისკონტირება ხდება **რენტაბელობის მოცემულ ნორმას ან დისკონტის განაკვეთს** უწოდებთ. ფულადი შემოსულობის მიმდინარე ღირებულებასა და ინვესტიციის თანხას შორის სხვაობას წმინდა მიმდინარე ღირებულება (**NPV**) ქვია. ინვესტიციის შემოთავაზებული ვარიანტი მისაღებად ითვლება, თუ (**NPV**) უარყოფითი არ არის.

მაგალითი:

შემოთავაზებულმა 1'000 ლარიანმა ინვესტიციამ მომავალ ორ წელიწადში 625 ლარის ყოველწლიური ფულადი შემოსავალი უნდა ძოიტანოს. რენტაბელობის მოცემული ნორმა 14%-ს შეადგენს. ფულადი შემოსავლების მიმდინარე ღირებულება კაპიტალდაბანდების მიმდინარე ღირებულებას შეიძლება შევუფარდოთ შემდეგი სახით.

	წელი	თანხა ლარებში	დისკონტირების კოეფიციენტი	მიმდინარე ღირებულება ლარებში
ფულადი შემოსავალი	1	625	0,877	548
	2	625	0,769	481
ფულადი შემოსავალი	0	1250		
წმინდა ფულადი შემოსავალი				1'029
ინვესტიცია				1'000
პროექტის სუვა მიმდინარე ღირებულება (NPV)				29

შემოთავაზებული ვარიანტი მისაღებია, რადგან *NPV* დადგებითია

9 . 3 . დაბრუნება ინვესტიციაზე.

ჩვენ განვიხილეთ შემოხვევა, როცა მოცემული სიდიდის ინვესტიციებით, ფულადი შემოსავლებით და რენტაბელობის მოცემული ნორმით აუცილებელი იყო მიმდინარე წმინდა ღირებულების განსაზღვრა.

საჭიროა სიტუაციას მეორე მხრიდანაც შევხედოთ: როგორ განვსაზღვროთ რენტაბელობის ნორმა ინვესტიციისა და ფულადი შემოსავლების მოცემული მნიშვნელობებით?

მივმართოთ საბანკო სესხის მაგალითს. დავუშვათ, რომ ბანკი გვაძლევს 20,000 ლარის სესხს და ბოლო ხუთ წელიწადში ყოველწლიურად იღებს 3,000 ლარის საპროცენტო გადასახდელს, თავნის (20,000 ლარი) მეხუთე წლის ბოლოს ერთდროული დაფარვის პირობით. ნათელია, რომ 20,000 ლარის გასესხებით ბანკი იღებს 15%-იან მოგებას. მოგების ნორმა გამოითვლება ყოველწლიური ფულადი შემოსავლის გაყოფით წლის განმავლობაში დაუფარავად დარჩენილ ინვესტირებულ თანხაზე. ჩვენ მაგალითში სესხის დაუფარავი ნაწილი ყოველწლიურად 20,000 დოლარს შეადგენს. ყოველწლიური ფულადი შემოსავალი 3,000 ლარის ტოლია, შესაბამისად მოგების ნორმა 15%-ს ($3,000/20,000$) შეადგენს. მაგრამ, თუ ბანკი 20,000 ლარის დაფარვას თანდათან ითხოვს, ყოველი წლის ბოლოს – 5,966 ლარის გადახდით ხუთი წლის განმავლობაში, მოგების ნორმის გამოთვლა აქ უფრო რთულია. ამ შემოხვევაში ყოველწლიური ფულადი შემოსავლიდან მხოლოდ ნაწილია ინვესტიციაზე უკუგება, დარჩენილი ნაწილი კი – ეს ვაღის ძირითადი თანხის დაბრუნებაა. ზემოთმოყვანილი განხილვების მიხედვით, ვთქვათ

მოგების ნორმა ამ სესხზეც 15%-ს შეადგენს. მაშინ პირველ წელს გადახდილი 5,966 ლარიდან 3,000 ლარი, ამ წელიწადში დაუფარავი 20,000-ის 15%, პირველი წლის სასესხო პროცენტს წარმოადგენს, დარჩენილი 2,966 ლარი კი 17,034 ლარამდე ამცირებს ძირითადი ვალის სიღიდეს. ეორე წელს – 2,555 ლარი შეადგენს დაუფარავი ძირითადი თანხის (17,034) 15%-ს, ხოლო 3,411 ლარით 13,623 ლარამდე მცირდება სესხის თავნი და ა.შ.

ზოგიერთი ინვესტიციური პრობლემები თავისი არსით ძალიან გავს ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მაგალითებს. ვთქვათ, თუ კონპანია 20,000 ლარად ყიდულობს მიწას, რომელსაც ხუთწლიანი ვადით იჯარით გასცემს წელიწადში 3,000 ლარად, მაშინ მოგების ნორმა 15%-ს შეადგენს. ინვესტიციებთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა ეხებათ აქტივებს, რომელთაც ცვეთა ერიცხებათ და რომლებსაც გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ მცირე, ან საერთოდაც ნულოვანი გასაყიდი ღირებულება აქვთ. შესაბამისად, ასეთი ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება საკმარისად დიდი უნდა იყოს, რადგან აქტივების გამოყენების ვადაში უნდა აანაზღაურონ ინვესტიციის მოცულობა და უზრუნველყოს კაპიტალდაბანდების დაუფარავ ნაწილზე დამაკმაყოფილებელი მოგების ნორმის მიღება.

9 . 4 . საინვესტიციო პროექტის ანალიზი

ამ ნაწილში ჩვენ განვსჯით ინვესტიციებთან დაკავშირებული ვარიანტების გათვლაში მონაწილე ხუთი ელემენტიდან თითოეულის შეფასების საშუალებებს. ეს ხუთი ელემენტია:

- 1) რენტაბელობის მოცემული ნორმა;
- 2) გამოყენების პერიოდი (წელთა რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც მოსალოდნელია ფულადი შემოსულობები);
- 3) ფულადი შემოსულობის თანხა თითოეულ წელს;
- 4) ინვესტიციის მოცულობა;
- 5) საბოლოო ღირებულება.

(1) რენტაბელობის მოცემული ნორმა. გარდა ხელმძღვანელთა სუბიექტური შეფასებისა რენტაბელობის მოცემული ნორმის განსაზღვრისათვის გამოიყენება კაპიტალის ღირებულების მეთოდი.

კაპიტალის ღირებულება. ეკონომიკურ თეორიაში ითვლება, რომ რენტაბელობის მოცემული ნორმა ტოლი უნდა იყოს კომპანიის კაპიტალის ღირებულების, რომელიც კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ღირებულების წილობრივი თანაფარდობის შეწონილ თანხას წარმოადგეგნს.

მაგალითი:

ჩავთვალოთ, რომ კომპანიას გამოშვებული აქცე წლიური 7%-იანი ობლივაცია; საკუთარ აქციებზე იხდის მათი ნომინალური ღირებულების 18%-ს. ნასესხები კაპიტალი კაპიტალის საერთო მოცულობის 40%-ს, ხოლო საკუთარი კაპიტალი 60%-ს შეადგენს. კომპანიის კაპიტალის ღირებულება გამოითვლება შემდეგი სახით:

კაპიტალის ჭიმი	კაპიტალის ღირებულება, %	წილი	შეწონილი ღირებულება, %
ნაცესხები (ობლიგაციები)	7	0,4	2,8 (7 x 0,4)
საქუთარი (აქციები)	18	0,6	10,8 (18 x 0,6)
სულ:		1,0	<u>13,6</u>

ამგვარად, კომპანიის კაპიტალის ღირებულება 13,6%-ს შეადგენს (დამრგვალებულად 14%-ს).

რიგი მიზეზებით ინვესტიციებთან დაკავშირებული გათვლები გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილ მონაცემთა ბაზაზე უნდა წარმოებდეს. ამის შესაბამისად გამოთვლილი მოგების ნორმა არის გადასახადების გადახდის შემდგომ არსებული მოგების ნორმა.

განაკვეთის არჩევა. რენტაბელობის მოცემული ნორმის დადგენისას ბევრი კომპანია სუბიექტურ მეთოდს იყენებს.

ზემოთ აღწერილი მეთოდით გამოთვლილი რენტაბელობის მოცემული ნორმა, იმ საინვესტიციო პროექტებს ეხება, რომელთა საფუძველშიც საშუალო რისკი დევს. საერთოდ ასეთ პროექტებზე მოსალოდნელი მოგების ნორმა დამოკიდებულია კაპიტალდაბანდებების გახორციელების რისკის ხარისხზე. ამგვარად, საშუალოზე მაღალი რისკის მქონე ინდივიდუალურ საინვესტიციო პროექტზე, რენტაბელობის მოცემული ნორმა, მთლიანად ყველა პროექტების, რენტაბელობის საშუალო ნორმაზე მაღალი უნდა იყოს.

უაღმერნატივო პროექტების ეფექტი. ზოგი ინვესტიცია ზორციელდება არა მათი მოგებიანობიდან გამომდინარე, არამედ აუცილებლობის გამო. მაგალითებად, შრომის ან გარემოს დაცვისათვის გაწეული ღონისძიებები გამოგვადგება. აქედან გამომდინარე მოგებიანმა კაპიტალდაბანდებებმა, არა მარტო ინვესტირებულ კაპიტალზე, მოგების დამაკმაყოფილებელი ნორმა უნდა უზრუნველყოს, არამედ საინვესტიციო პროექტის გათვლაში უნდა ჩართოს აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალის ღირებულებაც. ამასთან დაკავშირებით, ბევრი კომპანია, საბოლოო ჯამში ორიენტირებას ასეთი წესით გამოთვლის რენტაბელობის ნორმაზე აკეთებს, რომლის სიდიდეც კაპიტალის ღირებულების სიდიდეს აჭარბებს.

(2) კაპიტალდაბანდების გამოყენების პერიოდი. ეს პერიოდი იმ წელთა რაოდენობის ტოლია, რომელთა განმავლობაშიც მოსალოდნელია საინვესტიციო საქმიანობის შედეგად ფულადი შემოსავლების მიღება. და, მიუხედავად იმისა, რომ ფულადი შემოსავლების ნაკადს შეიძლება განუსაზღვრელად გრძელვადიან პერიოდში ველოდეთ, ჩვეულებრივ, გამოყენების პერიოდს მაინც შეზღუდულ საზღვრებს უდევნენ: 10, 15 ან 20 წელი.

კაპიტალდაბანდების გამოყენების პერიოდის დასასრულს **საინვესტიციო ზღვარი** ეწოდება, რომელიც ნიშნავს, რომ მის შემდეგ ფულადი შემოსავლები შეუმჩნეველი ხდება. კაპიტალდაბანდების გამოყენების პერიოდის დადგენა იშვიათად ხდება სრულყოფილი სიზუსტით. მიუხედავად ამისა ძალზედ მნიშვნელოვანია კაპიტალდაბანდების გამოყენების პერიოდის საუკეთესო შეფასების გაკეთება, ვინაიდან ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გათვლებზე.

თუ წარმოდგენილი პროექტი მოწყობილობების შეძენას ითვალისწინებს, მაშინ კაპიტალდაბანდების გამოყენების პერიოდი მომხმარებლის მიერ ამ მოწყობილობების გამოყენებისთვის გათვალისწილებული ხანგრძლივობას შეესაბამება. იმ პერიოდის ხანგრძლივობის განხილვისას, რომლის განმავლობაშიც გამოიყენება მოწყობილობა, ჩვეულებრივ, ორიენტირს პირველ რიგში ფიზიკური დაძვლება კაპიტალდაბანდების ზედა ზღვარია, ხშირ შემთხვევაში ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად მოკლე აღმოჩნდება ხოლმე. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი მოწყობილობების უფრო სრულყოფილით შეცვლას გვაიძულებს, რის შედეგადაც მოძველებული მოწყობილობების გამოყენებიდან ფულადი შემოსავლები მათი ფიზიკური დაძვლების პერიოდის დასრულებამდე გაცილებით ადრე წყდება.

(3) ფულადი შემოსულობები. ინვესტიციებიდან შემოსულობები ფულადი სახსრების დამატებით თანხებს წარმოადგენენ, როგორთა მიღება მოსალოდნელია, როგორც ინვესტიციის შედეგის. ისინი გამოითვლება როგორც სხვაობა ფაქტიური ფულადი შემოსულობებს და იმ ფულადი შემოსულობების სიდიდეებს შორის, რომელთაც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, კაპიტალდაბანდებები რომ არ გახორციელებულიყო. მოცემულ შემთხვევაში სრულად ვლინდება დიფერენცირების კონცეფცია, რომელიც წინა თავშებში დაწვრილებით განვიხილეთ. ამასთან აუცილებელია გვახსოვდეს, რომ საუბარია ფულად შემოსულობებზე. განვიხილოთ გამოყენებული მოწყობილობების ახლოთ შეცვლის წინადადება. საწარმოში მოქმედი მოწყობილობა ექსპლოატაციის პერიოდში საჭიროებს გარკვეულ შრომით და მატერიალურ დანახარჯებს – შეკეთებაზე, ელექტრო ენერგიაზე და მომავალში გამოყენებისათვის საჭირო სხვა დანახარჯებს. თუ ახალი მოწყობილობის შემოთავაზება ამ დანახარჯების შემცირების მიზნით ხდება, ალბათ, ყველა შემთხვევაში, მისი გამოყენება უფრო მცირე დანახარჯებთან უნდა იყოს დაკავშირებული. დანახარჯების ამ ორ თანხას შორის სხვაობა არის ახალი მოწყობილობის შეძენით გამოწვეული ფულადი შემოსულობა (საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოცემულ მაგალითში დიფერენცირებულ ფულად შემოსულობებში ფაქტიურად ფულადი სახსრების გადინების შემცირება იგულისხმება).

თუ კი ახალი მოწყობილობების შეძენის დანიშნულება არა ძველის შეცვლა, არამედ საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა, მაშინ მისი გამოყენებიდან ფულად შემოსულობად ჩაითვლება გაყიდვების გაზრდილი მოცულობით წარმოქმნილი დიფერენცირებული შემოსავალი. ეს დიფერენცირებული შემოსულობა წარმოადგენს სხვაობას პროდუქციის რეალიზაციიდან დამატებით შემოსულობასა და მისი დამზადებისას წარმოქმნილ დამატებით დანახარჯებს შორის.

ინფლაცია. ინფლაციასთან დაკავშირებით წარმოიშობა შეკითხვა: ხომ არ უნდა გადაფასდეს მომავალი ფულადი შემოსულობები მათი მიმდინარე შესყიდვისუნარიანობაზე შესწორებით, ჯერ კიდევ ამ ფულადი შემოსულობების დისკონტირებამდე. საერთოდ ეს საჭირო არ არის, იმიტომ, რომ დისკონტის განაკვეთი უკვე ითვალისწინებს ინფლაციის შემადგენელს: მოსალოდნელი ინფლაციის პირობებში დისკონტირების კოეფიციენტი უფრო მაღალია. და, დიკონტის ეს განაკვეთი მაღალია იმის გამო, რომ: 1) მომავალი ინფლაციის გათვალისწინებით ხელმძღვანელები შევნებულად სწევენ მას; 2) კომპანიის

კაპიტალის ღირებულება აირეკლავს ფინანსური ბაზრის მოსალოდნელ ინფლაციას (მაგალითად, ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთები ინფლაციის პერიოდში უფრო მეტია, ვიდრე სტაბილური ფასების პერიოდში).

(4) ინვესტიციის მოცულობა. ინვესტიციებში იგულისხმება კაპიტალის მოცულობა, რომლითაც კომპანია რისკავს, თუ შესასრულებლად მიიღებს შემოთავაზებულ პროექტს. შესაბამისი საინვესტიციო **დანახარჯები წარმოადგენენ დიფერენცირებულ დანახარჯებს**, ე.გ. ფულადი სახსრების იმ გადინებებს, რომლებიც წარმოიქმნა ინვესტიციის შედეგად და რომლებიც არ იქნებოდა, კომპანიას რომ შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტი არ განხორციელებინა. ინვესტიციების დიფერენცირებულ დანახარჯებს წარმოადგენენ თავად აქტივების ღირებულება, გასავლები ტრანსპორტირებასა და დამონტაჟებაზე, ასევე, დანახარჯები ახალი აქტივების შეძენასთან დაკავშირებით მუშა-მოსამსახურეთა გადამზადებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი შეიძლება კაპიტალიზირებულიც არ იყოს. საბუღალტრო მიდგომით (არ შევიდეს შეძენის თვითონირებულებაში).

თუ ახალი აქტივების შეძენას თან ახლავს **ადრე გამოყენებულის რეალიზაცია**, მაშინ მათი **რეალიზაციიდან სუფთა შემოსულობა გამოიქვითება დიფერენცირებული** ინვესტიციების სიღიძიდან. სხვა სიტყვებით:

დიფერენცირებული ინვესტიციები წარმოადგენენ დამატებითი სახსრების საერთო თანხას, რომელიც უნდა მივიღოთ კაპიტალდაბანდებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ჩვენი ყველა მაგალითი გრძელვადიან აქტივებში ინვესტიციებს ეხებოდა, ისინი შეიძლება ნებისმიერი სახის აქტივში გახორციელდეს. შესაბამისად ინვესტიციებს შეუძლიათ მოიცვან დამატებითი სახსრების ჩადება სასაქონლო-მატერიალურ მარაგში, დებიტორულ დავალიანებებში და სხვა სახის მიმდინარე აქტივებში.

ბევრი საინვესტიციო პროექტი **კაპიტალის ერთდროულ დაბანდებას გულისხმობს** დროის იმ მომენტისათვის, რომელსაც ჩვენ **ნულოვანს** ვუწოდებთ. ზოგი პროექტი კი წარმოადგენს **დროის მნიშვნელოვან პერიოდში თანდათანობით დაბანდებას**. ინვესტი-ციის მიმდინარე ღირებულების გამოთვლისთვის, მისი ყველა ცალკეული კომპონენტი დროის ერთ მომენტამდე უნდა დავიყვანოთ. ამისათვის ფულადი სახსრების გადინების სიღიძე დისკონტირების შესაბამის კოეფიციენტზე მრავლდება.

(5) საბოლოო ღირებულება. საინვესტიციო პროექტის სხვადასხვა კომპონენტებს, მოცემული პროექტის დროითი ზღვარის ბოლოს, შეიძლება რაღაც ღირებულება ჰქონდეთ. საბოლოო ღირებულების ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება ფულადი შემოსავლები, რომელთაც ადგილი აქვთ საინვესტიციო პერიოდის ბოლო წერტილზე. ასეთი პროექტის ანალიზის დროს საბოლოო ღირებულების დისკონტირებული სიღიძე სხვა ფულადი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას ემატება.

საინვესტიციო პროექტის რეალიზაციაში მონაწილე აქტივებს, ინვესტიციის გამოყენების პერიოდის დამთავრებისას, შეიძლება ჰქონდეთ სალიკვიდაციო ღირებულება. ბევრ შემთხვევაში შეფასებული სალიკვიდაციო ღირებულება ისეთი მცირეა და დროსთან ისე დაშორებული, რომ არ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მისაღებ გადაწყვეტილებაზე. იმავე შემთხვევაში, როცა შეფასების თანახმად სალიკვიდაციო

ღირებულება მნიშვნელოვანი სიდიდისაა, სუფთა სალიკვიდაციო ღირებულება განიხილება, როგორც აქტივების რეალიზაციის დროს ფულადი შემოსავლები და დისკონტირდება სხვა ფულადი შემოსავლების მსგავსად.

საინვესტიციო პროექტის ანალიზის მოკლე დასკვნა. ჩვენ დაწვრილებით გავიცანით შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტის ანალიზის პროცესს წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდის გამოყენებით. მოვიყვანოთ ამ ანალიზის მოკლე შინაარსი:

1. შესაბამის პროექტს მოუძებნეთ რენტაბელობის მოცემული ნორმა. თუმცა ეს ნორმა საშუალო რისკის მქონე პროექტებს ეხებათ და შეიძლება დაკორექტირდეს მოცემული პროექტის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, რომლის რისკის ხარისხი შეიძლება შეფასდეს, როგორც საშუალოზე მაღალი ან საშუალოზე დაბალი.
2. შემოთავაზებულ პროექტზე შეაფასეთ ინვესტიციის გამოყენების პერიოდის ხანგრძლივობა.
3. ინვესტიციის გამოყენების პერიოდის ყოველ წელზე გათვალით დიფერენცირებული ფულადი შემოსულობების სიდიდე.
4. განსაზღვრეთ სუფთა ინვესტიციების მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს ფულადი სახსრების გადინებებს, დამატებით ფულადი სახსრების საბაზო გადინებებთან, რომელთაც ადგილი აქვთ დროის ნულოვან მომენტში, არსებული მოწყობილობების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობების (გადასახადების გათვალისწინებით კორექტირებული) გამოქვითვით.
5. შეაფასეთ აქტივების ღირებულება ინვესტიციის გამოყენების პერიოდის ბოლოს, რეალიზაციას დაქვემდებარებული მიმდინარე აქტივებისა და მოწყობილობების სალიკვიდაციო ღირებულების ჩათვლით.
6. განსაზღვრეთ ყველა ფულადი შემოსავლის (მე-3 და მე-5 პუნქტები) მიმდინარე ღირებულება, დისკონტირების ცხრილის გამოყენებით მათი დისკონტირებით რენტაბელობის მოცემულ ნორმასთან შესაბამისობაში.
7. გათვალით მიმდინარე ღირებულება ფულადი შემოსულობების ჯამის მიმდინარე ღირებულებიდან სუფთა ინვესტიციების სიდიდის გამოქვითვის გზით. შემოთავაზებული პროექტის მიღება შესაძლებელია, თუ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) არ არის უარყოფითი.
8. მოახდინეთ საბოლოო გადაწყვეტილების ფორმულირება, არაფულადი ხასიათის ფაქტორების გათვალისწინებით.

21.5 . ანალიზის სხვა მეთოდები

ჩვენ განვიხილეთ საინვესტიციო პროექტების ანალიზი წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) მეთოდის დახმარებით. ქვემოთ ვიმსჯელებთ ასეთი პროექტების ანალიზის სხვა მეთოდებზე, რომლებიც დაფუძნებულია საბალანსო ღირებულებით აღრიცხვაზე:

რენტაბელობის შევა ნორმის მეთოდი. NPV მეთოდის გამოყენების დროს რენტაბელობის მოცემული ნორმა, რომელიც გამოიყენება თითოეულ წელს ფულადი შემოსავლების დისკონტირებისათვის, წინასწარ უნდა შეირჩეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ,

რენტაბელობის შესაბამისი ნორმის არჩევა მარტივი არ არის. რენტაბელობის შიგა ნორმის მეთოდი საშუალებას გვაძლევს ავიცილოთ ეს სირთულეები, კერძოდ, რენტაბელობის ნორმის ისეთი მნიშვნელობა გავთვალით, რომელიც ფულადი შემოსავლების მიმდინარე ღირებულების სიდიდეს ინვესტიციის ოდენობას უთანაბრებს, ე.ი. ეს ნორმა **NPV**-ს ნულის ტოლს ხდის. რენტაბელობის ასეთი ნორმა **რენტაბელობის შიგა ნორმად ან დისკონტირებულ შიგა კულტივურზე იწოდება (IRR).**

შემოთავაზებულ პროექტს მაშინ მიეცემა მსვლელობა, თუ კომპანიის ხელმძღვანელობას აკმაყოფილებს რენტაბელობის შიგა ნორმის მიღებული მნიშვნელობა. **IRR**-ის საკმარისობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღება ექცევა იგივე მოსაზრებებს, რომლებსაც რენტაბელობის მოცემული ნორმის შერჩევისას ითვალისწინებდნენ.

შემოსავლების თანაბარი ნაკადის არსებობისას **IRR**-ის გათვლები საკმაოდ მარტივია. განვიხილოთ მაგალითი: ინვესტიციის პროექტის მოცულობა 90,000 ლარია და ოთხი წლის განმავლობაში ყოველწლიური ფულადი შემოსავალი კი 30,000 ლარი:

- 1) ინვესტიციის მოცულობა (90,000) გავყოთ წლიური შემოსავლის თანხაზე (30,000). მიღებულ შედეგს – 3,0 **გემოსავლების მიმართ ინვესტიციის დამოკიდებულება პქვია;**
- 2) დისკონტირების ცხრილში მოვტებნოთ ოთხწლიანი პერიოდის სტროფი. სტროფის იმ სვეტთან გადაკვეთაში მოცემული ციფრი, რომლის სიდიდეც ყველაზე ახლოა 3,0-თან, აჩვენებს რენტაბელობის ნორმის მიახლოებით სიდიდეს. ვინაიდან 3,0-თან ყველაზე ახლო ციფრი – 3,0373 12%-იან სვეტში იმყოფება, რენტაბელობის ნორმა, მიახლოებით, 12%-ს შეადგენს.

იმ შემთხვევაში როცა შემოსავლების თანხები წლების მიხედვით არათანაბარია, **IRR** მცდელობებისა და შეცდომების მეთოდია. ამისათვის ხდება თითოეული წლისათვის შემოსავლების თანხების ამოწერა, რომელთაც მიეყნებათ დისკონტირების სხვადასხვა კოეფიციენტები მანამ, სანამ არ მოიძებნება დისკონტის განაკვეთი, რომელიც მათ ჯამურ მიმდინარე ღირებულებას ინვესტიციის მოცულობასთან გაათანაბრებს.

IRR შედარებითი საზომია, ჰამბურგერის ბარს შესაძლოა 18%-ის ტოლი **IRR** პქონდეს, ხოლო ნავთობგადამამუშავებელი ქარხანას კი - 14%. თუმცა ეს ორი პროექტი ძალიან განსხვავებული მასშტაბებისაა, მათი ბრუნვების ურთიერთშედარება მაინც შესაძლებელია.

IRR-ის ძირითადი კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ის პროექტია ვარგისიანი, რომლის **IRR** აჭარბებს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთს, (ანუ ”ფულის ღირებულებას”). ეს კანონი სრულ შესაბამისობაშია **NPV**-ის კანონთან.

თუმცა, ურთიერთგამომრიცხავი პროექტები არ შეიძლება შეფასდეს **IRR**-ის გამოყენებით. ძალიან ჰატარა პროექტს შესაძლოა პქონდეს ძალიან მათალი **IRR**. მაგრამ დიდი პროექტისას დაბალი **IRR**-ისა და მაღალი **NPV** -ს შემთხვევაში ამ უკანასკნელს ენიჭება უპირატესობა. ამ ლოგიკის არსი ცხადია.

თვითანაზღაურების (ამოვების) პერიოდი არის - სიდიდე, რომელსაც ზემო, შემოსავლების მიმართ ინვესტიციის დამოკიდებულება ვუწოდეთ, ვინაიდან იმ წლების

რაოდენობას გამოხატავს, რომელთა განმავლობაშიც საინვესტიციო სახსრების გადინებები ანაზღაურებული იქნება კაპიტალდაბანდების გახორციელების შედეგად მიღებული ფულადი შემოსავლებით. სხვა სიტყვებით, მოცემული ვადის განმავლობაში პროექტმა “თავისი თავი უნდა გამოისყიდოს”. თუ ჩარხი 90,000 ლარი ღირს, ხოლო მისი გამოყენების შედეგად ფულადი შემოსავალი წელიწადში 30,000 ლარს შეადგენს, თვითანაზღაურების პერიოდი სამი წლის ტოლია.

თვითანაზღაურების მეთოდი ხშირად გამოიყენება საინვესტიციო პროექტების სწრაფი, მაგრამ საკმაოდ მიახლოებითი შეფასების მეთოდის სახით.

დისკონტირებული თვითანაზღაურების მეთოდი. ეს მეთოდი თვითანაზღაურების გათვლის უფრო პრაქტიკული და საიმედო მეთოდია. მის თანახმად, გაითვლება და წინა სიღიდეს ემატება თითოეული წლის ფულადი შემოსავლის მიმდინარე ღირებულება მანამ, სანამ თანხა არ გაუტოლდება ან არ გადააჭარბებს ინვესტიციის მოცულობას. წელი, რომელშიც ზემოაღნიშნული მოხდება, წარმოადგენს თვითანაზღაურების დისკონტირებული პერიოდის უკიდურეს საზღვარს.

უკუგება დაბანდებულ კაპიტალზე. *ROCE* – სააღრიცხვო მოგება გაყოფილი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე. ეს მეთოდი ითვალისწინებს მოსალოდნელი სუფთა შემოსავლის გამოთვლას, რომელიც კაპიტალდაბანდების შედეგად ყოველწლიურად მიიღება დარიცხვის პრინციპით. დაუკორექტირებელი რენტაბელობის ნორმა განისაზღვრება წლიური სუფთა შემოსავლის ინვესტიციის მოცულობაზე გაყოფით.

ARR (უკუგების სააღრიცხვო განაკვეთი) არის – საშუალო წლიური მოგება გაყოფილი წმინდა აქტივების საშუალო საბალანსო ღირებულებაზე. იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ პროექტის დანერგვის მთლიანი პერიოდის განმავლობაში საშუალოდ ამოქმედებულია თავდაპირველი კაპიტალდაბანდებების სიღიდის ნახევარი, რადგან საწყისი მნიშვნელობიდან ინვესტიციები, პერიოდის ბოლოს, თანდათან, “არაფერზე” ჩამოდის.

ძაგლითი:

განვიხილოთ შემდეგი ბიზნეს-პროექტი:

დანადგარის შესაძენად განხორციელდა საწყისი კაპიტალის ინვესტიცია – 100,000 ლარი.

დანადგარით დამზადებული პროდუქციის წლიური გაყიდვები, 1-ლი წლიდან მე-5 წლამდე წელიწადში – 5,000 ერთეული, გასაყიდი ფასი 10 ლარი ერთეულზე.

პროდუქციის დანახარჯები: ცვლადი დანახარჯები (შრომა და მასალები) – 3 ლარი ერთეულზე

პროდუქტის გამოშვების ხანგრძლივობა – 5 წელი, აღჭურვილობის ნარჩენი ღირებულება ნულია. გაყიდვები და დანახარჯები “საკასო” მეთოდითაა დათვლილი. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს დებიტორები და კრედიტორები. შეგვიძლია დავუშვათ, რომ ფულადი შემოსავლები დასრულდა წლის ბოლო დღეს, ხოლო საწყისი კაპიტალის ინვესტიცია მოხდა პროექტის დასაწყისში. მოელი ნამეტი ფულადი სახსრები გაიკა დავიდებულების სახით. ცვლა აღჭურვილობაზე დარიცხულია წრფივი მეთოდით.

თქვენი ამოცანაა გამოთვალოთ:

(ა) პროექტის თითოეული წლის მოგება;

- (3) პროექტის თითოეული წლის განაკველი კაპიტალი;
- (3) **ROCE** პროდუქტის თითოეული წლისათვის;
- (დ) პროექტის **NPV**, თუ დისკონტირების განაკვეთი 10%;
- (გ) პროექტის ამონაგების პერიოდი;
- (გ) პროექტის **IRR**;
- (გ) პროექტის **ARR**

აძობს:

წელი	მოგება (ა)	გამოყენებული კაპიტალი (ბ)	ROCE (გ)	შუღლადი სახსრები	დისკონტირების განაკვეთი (ცხრილით)	pv
1	2	3	4	5	6	7
0				-100,000	1	-100,000
1	15,000	80,000	18.75%	35,000	0.909	31,818
2	15,000	60,000	25.00%	35,000	0.826	28,926
3	15,000	40,000	37.50%	35,000	0.751	26,296
4	15,000	20,000	75.00%	35,000	0.683	23,905
5	15,000	0	უსასრულო	35,000	0.621	21,732
						132678

გაანგარიშებები:**მუ-2 სკეტი**

მოგების გაანგარიშება	ლარი
გაყიდული ერთეულები	5,000
სარეალიზაციო ფასი	$x \frac{10}{}$
ამონაგები	50,000
პროდუქციის დანახარჯები (3 + 5000)	15,000
ცვეთა (წლიური 20%) $100000 - 20\%$	<u>20,000</u>
მოგება	15,000

მუ-3-ე სკეტი

გამოყენებული კაპიტალი: თავდაპირველ დაბანდებას – ცვეთა ($100,000 - 20,000 = 80,000$)

მუ-4-ე სკეტი

ROCE მოგება: გამოყენებულკაპიტალზე ($15000 : 80,000) \times 100 = 18,75\%$

მუ-5-ე სკეტი

შუღლადი ნაკადი **DCF** – რეალიზაციიდან მიღებული ფული – 50,000

$$\text{მინუს } \text{ცვლადი } \text{დანახარჯები} - \frac{15,000}{\text{დიფერენცირებული } \text{ცულადი } \text{შემოსულობა} - 35,000}$$

მუ-7-ე სკეტი

ცულადი ნაკადის დისკონტირებული ღირებულება (**PV**) –

$$\text{წმინდა } \text{ცულადი } \text{ნაკადი } x \text{ დისკონტის } \text{განაკვეთზე} = 35,000 \times 0,909 = 31,818$$

გაანგარიშება – (დ)

წმინდა დისკონტირებული ღირებულება **NPV**

$$PV-\text{ს } \text{ჯამი} = 132,678$$

$$\begin{array}{rcl} \text{მინუს } \text{თავდაპირველი } \text{დაბანდება} & & \frac{100,000}{NPV = 32,678} \\ \hline \end{array}$$

გაანგარიშება – (ე)

$$\text{ამოგების } \text{პერიოდი: } 100,000 : 35,000 \approx 3 \text{ წელი}$$

გაანგარიშება – (ვ)

დისკონტირების შიდა განაკვეთი:

NPV

16%	14,600
18%	9,451
20%	4,671
22%	227
24%	-3,912

IRR დაახლოებით 22%-ია

გაანგარიშება – (ზ)

ARR უკუგების სააღრიცხვო განაკვეთი = საშუალო წლიური მოგება : წმინდა აქტივების საშუალო საბალანსო ღირებულებაზე

$$15000 : [(100000 + 0) : 2]$$

$$15000 : 50000 = 30\%$$

$$ARR = 30\%$$

გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები. მიუხედავად დისკონტირებულ შემოსავლებზე დაყრდნობილი მეთოდების კონცეპტუალური უპირატესობისა, მრავალრიცხოვანი განხილვები მოწმობს, რომ ძალიან ფართოდ გამოიყენება თვითანაზღაურებისა და ინვესტიციებზე უკუგების მეთოდები. ბევრი კომპანია საინვესტიციო პროექტების ანალიზისას ერთდროულად რამდენიმე მეთოდს იყენებს.

რიგი ფაქტორებით აიხსნება ის რომ მმართველები არ ხელმძღვანელობენ დისკონტირებით. პირველ რიგში, ზოგიერთი მათგანი კომპანიის მომგებიანობის მოკლევადიან მაჩვენებლებს უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევენ, მიუხედავად იმისა, რომ

მათ მიერ დაწუნებული პროექტები, დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ უფრო მიმზიდველ შედეგებს პირდებიან.

მეორე ასეთ ფაქტორად გვევლინება მმართველების სურვილი – გაექცნენ რისკს. მიუხედავად იმისა, რომ რომელიდაც პროექტი მთელი კომპანიის გადასახედიდან “ბევრის მომტან თამაშს” გვპირდება, კონკრეტულმა ხელმძღვანელმა შეიძლება არ მიიღოს, ან და სულაც არ შესთავაზოს ეს პროექტი, იმის გამო, რომ თუ პროექტი არსებული შეფასების შესაბამისად ვერ იმუშავებს, დასჯას გადაურჩეს.

უპირატესობის პრობლემები. არსებობს საინვესტიციო პრობლემების ორი კლასი: ძიების და უპირატესობის პრობლემები. ძიების პრობლემის კვლევისას ძირითადი საკითხია – მიიღონ თუ არა კაპიტალდაბანდების შემოთავაზებული პროექტი. აქამდე ჩვენ სწორედ ასეთი ტიპის პრობლემებს განვიხილავდთ.

უპირატესობის პრობლემების გადაჭრის პროცესში (რომელთაც ასევე **ქაპიტალის რანჟირების ან რაციონირების პრობლემებს** უწოდებენ) ხელმძღვანელმა უნდა გადაწყვიტოს, როგორ განათავსოს უპირატესობის ხარისხის მიხედვით პროექტთა რიგითობა, რომელთაგან თითოეული რენტაბელობის დამატაყოფილებელ ნორმას გვპირდება, რომელს უნდა მიერიჭოს უპირატესობა. რანჟირების ასეთი ოპერაცია აუცილებელია მაშინ, როცა წარმოდგენილია უფრო მეტი საყურადღებო პროექტი, ვიდრე არსებობს მათი დაფინანსებისთვის საჭირო სახსრები, რაც ყველაზე ხშირად ხდება ხოლმე პრაქტიკაში.

უპირატესობის პრობლემების გადაწყვეტისას გამოიყენებიან აგრეთვე **IRR** და **NPV** მეთოდებიც. ამასთან **NPV** მეთოდის მოხმარებისას ინსტრუმენტად გამოიყენება მაჩვენებელი, **რომელსაც მომვებიანობის ინდექსი ჰქვია, და რომელიც გამოითვლება ფულადი შემოსავლების მიმდინარე ღირებულების ინვესტიციის მოცულობაზე გაყოფით. რაც უფრო მაღალია მომვებიანობის ინდექსი, მით უფრო მიმზიდველია პროექტი.**

ყოველივე ზემოთ თქმული ფულადი ზასიათის მოსაზრებებს მიეკუთვნებოდა. არაფულადი ფაქტორებიც არ არიან ნაკლებ მნიშვნელოვანნი, ამასთან, ზოგჯერ მათი წონა იმდენად დიდია, რომ რაოდენობრივ-ეკონომიკური ანალიზიც კი არ არის საჭირო. ზოგ შემთხვევაში, რისკის თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის ხელმძღვანელებს შეუძლიათ უარყონ, ან განსახილველადაც კი არ შესთავაზონ საყურადღებო პროექტი.